
INTERNATIONAL AMATEUR BASKETBALL FEDERATION

DYNAMO TBILISI (U.R.S.S.) versus REAL MADRID (Espagne)

Match No. 23 — Place GENEVE (Suisse) Patinoire des Vernets. — Date 29 juin 1962 — Time 21 h.30

Referee Erwin KASSAI (Hongrie) — Umpire Roger WEBER (Suisse)

Team A: DYNAMO Tbilisi (U.R.S.S.)

Team B: REAL MADRID (Espagne)

Score of First Half Time 38-36

Score of Second Half Time 52-47

Final Score 90-83

Winning Team DYNAMO Tbilisi

# ჟენევური ოქმი ნაპოვნია!

შეიძლება მავანი არ დაგვეთანხმოს, მაგრამ ქართველ მობურთალთა უდიდესი გამარჯვება იგია, კალათბურთელებმა 46 წლის წინ, ჟენევაში, რეალის ძლევით რომ მოიპოვეს. მაშინ „დინამომ“ შინ ევროპის ჩემპიონთა თასი ჩამოიტანა, მაგრამ დრო ისე უკუღმართი იყო, რომ აორთქლდა ოქმი, და არც ფოტო და კინო-მასალა მოგვეპოვებოდა სულ ბოლო ხანებამდე.



კალათბურთის თემს ის ეპოქალური გამარჯვება არ დავიწყნია, ახსოვს. XXI საუკუნეში აღინიშნა ჟენევის მატჩის 40 და 45 წლის თავი, ჩვენმა კოლეგამ, ვაჟა დანელიამ კი წლობით ნაგროვები და მის მიერვე მოძიებული ახალი მასალები 120-გვერდა წიგნად ჩამოქნა და „ევროპულ ოდისეად“ გამოცა.

ბოლო იუბილეზე მწერალმა დათო ტურაშვილმა ესპანეთის არქივში მიკვლეული ფოტო გამოამზეურა. გავისარჯეთ ჩვენც, ოლიმპელები. ჯერ კიდევ 2003 წელს, საღადაო სახელიან, მაგრამ ფრიად სერიოზულ რუბრიკაში (ოღრაშის ტრიბუნა) დავსახეთ სამოქმედო გეგმა, მაგრამ იგი ყურად არავინ იღო. ჰოდა, შარშან, დეკემბერში, საქმეს ისევ ჩვენ შევეჭიდეთ და აგერ, პირველი შედეგიც მოვიმკეთ.

თქვენს წინაშეა ჟენევის მატჩის ოქმის ქსეროასლი და მისი გადმოქართულებული, გათანამედროვებული და ჩასწორებული ვარიანტი. „ოლიმპის“ მიმართვის პასუხად, „ფიბა ევროპის“ კომუნიკაციათა მუშაკმა, საკის კონტოსმა მიაგნო 1962 წლის საქაღალდეს, მისი ბოლო, 23-ე ოქმი დაასკან(ერ)ა და გვიმეილა.

## ნომრები არ ემთხვეოდა

„ოლიმპში“ პიდიეფ-ფაილი რამდენიმე ცალად ამოვბეჭდეთ და გულდაგულ ანალიზს შევუდექით. პირველ ყოვლისა, თვალი გაგვექცა დოკუმენტის მარცხენა ნახევრისკენ, სადაც მოთამაშეები და მათ მიერ მოგროვილი ქულები იწერება, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა:

იმ ხანის „დინამოს“ შემადგენლობა ზეპირად ვიცით, მაგრამ ნომრები არ ემთხვეოდა იმათ, რაც ფოტოებზე გვინახავს. სიისთვის თვალის გადავლებამ ვითარებას ნათელი მოჰფინა: ჩვენებს სამდივნოსთვის გადაუციათ რუსულ ანბანზე გაწყობილი, ოღონდაც გადალათინურებული ნუსხა და ფიბასაც თავი აღარ შეუწუხებია მისი გადამოწმებით.

ჩამონათვალში თითქმის ყველა ქართული გვარი დამახინჯებულია (კორკეი, ლეგარა, მენაშველე, შეველი). სულ დინამოში 12 მოთამაშე წერია, ხოლო რეალში 11. ჩვენგან ზედმეტია ანტონ კაზანჯიანი, ვინც შვეიცარიაში არ წაუყვანიათ. ესპანელებს პირველ გრაფაში ლიცენზიის ნომრებიც უწერიათ და მთელი ეს ბლოკი ნამატჩევს, საბეჭდი მანქანით დამატებული ჩანს სხვაფრივ სულ ხელით შევსებულ ოქმზე.

## მონაწილენი დაგვეხმარნენ

ანონიმ ჟენეველ მდივანს (გვარი ვერ ამოვიკითხეთ) კალიგრაფია კარგი ჰქონია. ოქმში გადახაზვით გადაშლილი და ზედ-გადასმით გადასწორებული არაფერია. თავიდან ბოლომდე მივყევით ანგარიშის დინამიკას და ვერც მანდ ვიპოვეთ შეცდომა, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ შემვსებს ნომრები არად ჩაეგდო და მისთვის უცნობი საბჭოელი კავკასიელები ხანდახან მაინც არეოდა ერთმანეთში.

ოქმის გადმოქართულებისას ხელახლა დავთვალეთ ქულები. მდივანს დაჯამვისას, სიჩქარეში, ხუთი მოთამაშის მონაგარი თითო-ოროლა წერტით შეშლია. დინამოელთა ნომრების დაზუსტებაში დაგვეხმარნენ კაპიტანი გურამ მინაშვილი და გუნდის უმრწემესი (ყველაზე ახალგაზრდა) წევრი ამირან სხიერელი, რომელთაც ტელეფონით შევეხმიანეთ.

პირველ რიგში, შეგვაეჭვა ჩვენი 14 ნომრის თორმეტმა (12) ქულამ. გამორიცხვის მეთოდით უცნობი აღმოჩნდა ლამის ძალად ამატებული ცენტრი ალექსანდრე პეტროვი. აქამდე ზეპირად მოღწეული ტრადიციით, რუსი სპორტსმენის წვლილი ჩვენს გამარჯვებაში იოტის ოდენი იყო, მაგრამ ბატონი ამირანის მოგონებებთან რომ შევაჯერეთ ოქმის მონაცემები, ყველაფერი დაემთხვა.

## კაგებეშნიკურ თვალთვალში

დედანი ოდნავ ძველმოდურია: ფოლები უბრალოდ გადათვლილია (წუთის მიუთითებლად) და ორ ქულასაც არ უწერია, თამაშიდანაა მოპოვებული თუ წყვილი ჯარიმის ჩაგდებით. სამაგიეროდ, აღრიცხულია ტაიმ-აუტები და ისიც თვალში გეცემათ, რომ ბატონ გურამს, იმ კაგებეშნიკურ თვალთვალში, ხელი მაინც ქართულად მოუწერია.

ოქმის ანალიზით ცხადია, რომ ოთარ ქორქიას ცხრა მოთამაშის დატვირთვით უძლევია ფაქტობრივად 6-კაცა რეალი. ხუთი ფოლის გამო მოედანი სამ-სამ მეტოქეს დაუტოვებია. ჩვენგან ყველაზე შედეგიანი ყოფილა ვალერი ალთაბაევი, სულ კი ხუთი ქართველის მონაგარი გამოისახა ორნიშნა რიცხვით, რაც იშვიათი გუნდურობის დასტურია.

ფიბას წესიერებაში ეჭვი, აბა, რად შევიტანოთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ოქმი ოფიციალურია. მისი გარჩევა ასოკირკიტა მკითხველს საამო განცდას მოჰგვრის, ჩვენდათავად კი შევნიშნავთ, რომ რეალი მეორე ტაიმის მე-13 წუთზეღა გაგვიტეხია, როცა ზედიზედ აგვიღია 7 ქულა და თერთმეტით დავწინაურებულვართ.

## მივლინებაა საჭირო

აქამდე დაკარგულ მონაცემთა გამოქვეყნება ჟენევის გამარჯვების შემოქმედებს უეჭველად გაახსენებს მივიწყებულ დეტალებს. მომავალი თაობებიც ალბათ უკეთ გაიაზრებენ მომხდარის მნიშვნელობას. ეგებ ეშველოს ქართულ კალათბურთსაც, ვისი ამჟამინდელი მდგომარეობაც ტრადიციას ვერ შეეფარდება.

ძიება კი უნდა გაგრძელდეს. საშური საქმეა, იმავე კამპანიის ყველა სხვა თამაშის (მეტადრე, ცეესკასთან გარეთ და შინ მოგებების) საბუთთა გამომზეურებაც. საამისოდ მიუნხენში, ფიბას არქივში და ჟენევაში, მატჩის გამართვის ადგილას მკვლევართა მივლინებაა საჭირო, რათა მოინახოს თამაშის ფოტოები, რეცენზიები და ეგებ, ქრონიკის რგოლიც, რომელიც ნამდვილად არსებობს – მიხეილ ქორქიას პოლონეთში ენახა!

:::

## დინამო 90:83 რეალი

| № | დინამო თბილისი (სსრკ) | ქ | ფ | № | რეალ მადრიდი (ესპანეთი) | ქ | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ლევან მოსეშვილი | 3 | 1 | 4 | პედრო იოპი | 0 | 0 |
| 6 | გურამ მინაშვილი კპპ | 9 | 5 | 5 | ხოსე-რამონ დურანდი | 0 | 0 |
| 7 | ილარიონ ხაზარაძე | 2 | 3 | 6 | ხულიო დესკარტინი | 0 | 0 |
| 8 | რევაზ გოგელია | 0 | 0 | 7 | მანუელ საინსი | 4 | 3 |
| 9 | ვალერი ალთაბაევი | 17 | 5 | 8 | ხოსე ლუისი კპპ | 5 | 5 |
| 10 | ანზორ ლეჟავა | 16 | 4 | 9 | ანტონიო პალმერო | 0 | 0 |
| 11 | ლევან ინწკირველი | 3 | 0 | 10 | ემილიანო როდრიგესი | 21 | 3 |
| 12 | ვლადიმერ უგრეხელიძე | 14 | 5 | 11 | კარლოს სევილიანო | 11 | 4 |
| 13 | ალექსანდრე კილაძე | 14 | 2 | 12 | ვეინ ჰაითაუერი | 30 | 5 |
| 14 | ალექსანდრე პეტროვი | 12 | 3 | 13 | სთენლი მორისონი | 12 | 5 |
| 16 | ამირან სხიერელი | 0 | 0 | 14 | ლორენსო ალოსენი | 0 | 0 |
| მწ | ოთარ ქორქია | 90 | (3ტ) | მწ | პედრო ფერანდისი | 83 | (1ტ) |

1962 წლის 29 ივნისი, პარასკევი; 21.30, ჟენევის (შვეიცარია) საციგურაო

მსაჯები: ერვინ კოშაი (უნგრეთი) და როჟე ვებერი (შვეიცარია)

### პირველი ტაიმი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2:0 | ალთაბაევი | (2) | 1 |
| 4:0 | ალთაბაევი | (4) | 2 |
| 4:2 | ლუისი | (2) | 2 |
| 6:2 | ხაზარაძე | (2) | 3 |
| 6:4 | ჰაითაუერი | (2) | 3 |
| 6:6 | როდრიგესი | (2) | 3 |
| 8:6 | ალთაბაევი | (6) | 4 |
| 8:8 | მორისონი | (2) | 4 |
| 8:10 | სევილიანო | (2) | 4 |
| 8:12 | როდრიგესი | (4) | 5 |
| 10:12 | ლეჟავა | (2) | 5 |
| 12:12 | ლეჟავა | (4) | 5 |
| 12:13 | ჰაითაუერი | (3) | 5 |
| 14:13 | მინაშვილი | (2) | 5 |
| 14:14 | ჰაითაუერი | (4) | 6 |
| 15:14 | მინაშვილი | (3) | 7 |
| 17:14 | ლეჟავა | (6) | 7 |
| 19:14 | კილაძე | (2) | 9 |
| 19:16 | სევილიანო | (4) | 10 |
| 21:16 | ალთაბაევი | (8) | 10 |
| 21:18 | როდრიგესი | (6) | 10 |
| 21:20 | როდრიგესი | (8) | 11 |
| 21:22 | ჰაითაუერი | (6) | 12 |
| 23:22 | მინაშვილი | (5) | 12 |
| 23:24 | მორისონი | (4) | 12 |
| 25:24 | მინაშვილი | (7) | 13 |
| 26:24 | მოსეშვილი | (1) | 13 |
| 28:24 | პეტროვი | (2) | 13 |
| 28:26 | ლუისი | (4) | 14 |
| 30:26 | პეტროვი | (4) | 15 |
| 30:27 | სევილიანო | (5) | 15 |
| 32:27 | პეტროვი | (6) | 16 |
| 34:27 | კილაძე | (4) | 16 |
| 34:29 | ჰაითაუერი | (8) | 16 |
| 36:29 | პეტროვი | (8) | 17 |
| 36:31 | ჰაითაუერი | (10) | 17 |
| 36:32 | ლუისი | (5) | 18 |
| 36:34 | ჰაითაუერი | (12) | 18 |
| 36:36 | ჰაითაუერი | (14) | 19 |
| 38:36 | პეტროვი | (10) | 19 |

### მეორე ტაიმი

| | | | |
|---|---|---|---|
| 38:38 | როდრიგესი | (10) | 1 |
| 38:40 | როდრიგესი | (12) | 1 |
| 40:40 | ლეჟავა | (8) | 1 |
| 40:42 | ჰაითაუერი | (16) | 2 |
| 42:42 | უგრეხელიძე | (2) | 2 |
| 42:44 | როდრიგესი | (14) | 2 |
| 44:44 | კილაძე | (6) | 2 |
| 44:46 | მორისონი | (6) | 3 |
| 46:46 | უგრეხელიძე | (4) | 3 |
| 46:48 | მორისონი | (8) | 3 |
| 48:48 | მინაშვილი | (9) | 3 |
| 48:50 | სევილიანო | (7) | 4 |
| 50:50 | ლეჟავა | (10) | 4 |
| 51:50 | ლეჟავა | (11) | 5 |
| 53:50 | უგრეხელიძე | (6) | 5 |
| 53:52 | როდრიგესი | (16) | 5 |
| 55:52 | ალთაბაევი | (10) | 6 |
| 55:54 | ჰაითაუერი | (18) | 6 |
| 57:54 | ლეჟავა | (13) | 6 |
| 57:55 | ჰაითაუერი | (19) | 8 |
| 58:55 | ალთაბაევი | (11) | 8 |
| 60:55 | კილაძე | (8) | 9 |
| 62:55 | ალთაბაევი | (13) | 9 |
| 62:57 | ჰაითაუერი | (21) | 10 |
| 62:59 | ჰაითაუერი | (23) | 10 |
| 64:59 | კილაძე | (10) | 11 |
| 66:59 | უგრეხელიძე | (8) | 11 |
| 66:61 | ჰაითაუერი | (25) | 11 |
| 68:61 | ალთაბაევი | (15) | 12 |
| 68:62 | ჰაითაუერი | (26) | 12 |
| 70:62 | უგრეხელიძე | (10) | 12 |
| 70:64 | მორისონი | (10) | 12 |
| 70:66 | როდრიგესი | (18) | 13 |
| 72:66 | უგრეხელიძე | (12) | 13 |
| 74:66 | კილაძე | (12) | 13 |
| 76:66 | ლეჟავა | (15) | 13 |
| 77:66 | ლეჟავა | (16) | 14 |
| 77:68 | სევილიანო | (9) | 15 |
| 79:68 | ალთაბაევი | (17) | 15 |
| 79:70 | ჰაითაუერი | (28) | 15 |
| 81:70 | უგრეხელიძე | (14) | 16 |
| 83:70 | ინწკირველი | (2) | 16 |
| 83:72 | სევილიანო | (11) | 16 |
| 83:74 | როდრიგესი | (20) | 16 |
| 85:74 | კილაძე | (14) | 17 |
| 85:76 | მორისონი | (12) | 17 |
| 85:78 | ჰაითაუერი | (30) | 18 |
| 85:80 | საინსი | (2) | 18 |
| 87:80 | პეტროვი | (12) | 18 |
| 87:81 | როდრიგესი | (21) | 18 |
| 87:83 | საინსი | (4) | 18 |
| 89:83 | მოსეშვილი | (3) | 19 |
| 90:83 | ინწკირველი | (3) | 19 |